დანართი N1

დამტკიცებულია

შპს„დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს

დირექტორის 2026 წლის 02 ივლისის N194 ბრძანებით

შპს ,,დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების წესი

თბილისი

2026

მუხლი **1.** ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ (შემდგომში -კოლეჯი) დასასაქმებელ/დასაქმებულ პირთა მიმართ დადგენილ სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმებს.
2. თითოეული კანდიდატი ვალდებულია სრულად აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისთვის/პოზიციისთვის წინამდებარე წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.
3. პერსონალის შერჩევის, დასაქმების, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის (მათ შორის გამოსაცდელი ვადის, ვადიანი ან უვადო ხელშეკრულებების გაფორმების) პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი **2.** ადმინისტრაციული**,** დამხმარე და მომსახურე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კოლეჯის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასასაქმებელ პირთათვის დგინდება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- განათლება**:** უმაღლესი განათლება (სასურველია მედიცინის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, განათლების ადმინისტრირების, სამართლის ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით);
- ენობრივი კომპეტენცია**:** სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა; ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B1 დონეზე (საბაზისო სამუშაო კომუნიკაცია) წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად;
- საკანონმდებლო ბაზა**:** პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების, ავტორიზაციის სტანდარტებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული პოზიციის პროფილის ცოდნა;
- ციფრული კომპეტენცია**:** საოფისე კომპიუტერული პროგრამების და ელექტრონული მართვის/სასწავლო სისტემების სამუშაო დონეზე ცოდნა;
- სამუშაო გამოცდილება**:** შესაბამის სფეროში მუშაობის დადასტურებული გამოცდილება (სასურველია).

2. კოლეჯის დამხმარე და მომსახურე პერსონალისათვის სავალდებულოა საბაზო, საშუალო ან პროფესიული განათლება. კონკრეტული პოზიციის ფუნქციური სპეციფიკიდან გამომდინარე, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, სერტიფიკატები ან სამუშაო გამოცდილება.

მუხლი **3.** პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საექთნო მიმართულების მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლად შეიძლება მიღებულ იქნას პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ ალტერნატიულ მოთხოვნას:
   - ფლობს შესაბამისი პროგრამით/მოდულით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს განათლებას;
   - ფლობს შესაბამისი პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციას;
   - აქვს შესაბამის სფეროში/პროფესიით მუშაობის არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე 3 წლიანი დადასტურებული სამუშაო გამოცდილება.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნებია:
   - სწავლა-სწავლების პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენების უნარები;
   - შესაბამის კლინიკურ/პრაქტიკულ სფეროში მუშაობისა და პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება (სასურველია);
   - ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განხორციელების შემთხვევაში, ინგლისური ენის ფლობა წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი **4.** ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმები

1. კოლეჯში ინგლისური ენის ცოდნის შეფასება ხორციელდება შიდა შეფასების/ტესტირების სისტემით (0–60 ქულა), რომელიც თავსებადია ენების ფლობის საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოსთან (CEFR).
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების სკალა**:**
   - **0–29** ქულა **(A1–A2** დონე**):** არ აკმაყოფილებს ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართულობის მინიმალურ მოთხოვნებს;
   - **30–39** ქულა **(B1** დონე**):** კანდიდატს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ კლინიკური სწავლება (პრაქტიკული კომპონენტი);
   - **40–60** ქულა **(B2–C2** დონე**):** კანდიდატს უფლება აქვს სრულად განახორციელოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების სწავლება.
3. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სკალა**:**
   - **0–29** ქულა **(A1–A2** დონე**):** არ აკმაყოფილებს პოზიციისთვის განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს;
   - **30–39** ქულა **(B1** დონე**):** საბაზისო სამუშაო კომუნიკაცია;
   - **40–47** ქულა **(B2** დონე**):** ეფექტური პროფესიული კომუნიკაცია;

- **48–60** ქულა **(C1–C2** დონე**):** თავისუფალი პროფესიული კომუნიკაცია.

მუხლი **5.** ტესტირების ჩატარების პროცედურა და პირობები

1. ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასების შიდა ტესტირება უტარდებათ კოლეჯში დასაქმებულ/დასასაქმებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ენის ფლობის სხვაგვარად ოფიციალურად დადასტურებული კომპეტენცია.
2. კოლეჯში ინგლისური ენის შიდა შეფასების/ტესტირების გავლის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც წარადგენენ:
- ინგლისური ენის ფლობის სერტიფიკატს (მაგ.: TOEFL, IELTS, FCE, CAE და სხვ.), სადაც დადასტურებული დონე შეესაბამება მოცემული პოზიციისთვის დადგენილ მოთხოვნებს;
- ავტორიზებული/აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომს, რომელიც ადასტურებს უმაღლესი განათლების სრული აკადემიური კურსის ინგლისურ ენაზე გავლას.
3. ინგლისური ენის კომპეტენციის შეფასება ტარდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) შექმნილი შეფასების კომისიის მიერ.
4. შეფასების კომისია უზრუნველყოფს ტესტირების ორგანიზებასა და ჩატარებას, შეფასების შედეგების განსაზღვრასა და მათ დოკუმენტირებას.
5. ტესტირების დასრულების შემდეგ შეფასების კომისია ადგენს შეფასების ოქმს, რომელსაც ერთვის შეფასების შედეგების უწყისი.
6. შეფასების შედეგების უწყისში მიეთითება:
   ა) შეფასებული პირის სახელი და გვარი;
   ბ) თანამდებობა ან პოზიცია;
   გ) შეფასების ჩატარების თარიღი;
   დ) მიღებული ქულა;
   ე) CEFR-ის შესაბამისი დონე;
   ვ) კომისიის დასკვნა შეფასებული პირის მიერ წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.
7. შეფასების კომისიის ოქმი და შეფასების შედეგების უწყისი წარმოადგენს შეფასების შედეგების დამტკიცების საფუძველს.
8. შეფასების შედეგები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

მუხლი **6.** დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).
2. წესი ძალაში შედის კოლეჯის დირექტორის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.